პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 248 (7804)
20 დეკემბერი,
ხუთშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



რას გვპირდება მეშახტეთა ქალაქი

ახლა ძნელია დაასახელო სახალხო მეურნეობის დარგი, რომლის წინსვლა-განვითარებაში თავისი წვლილი არ შეაქვს ფიზკულტურასა და სპორტს. გამონაკლისი არც მეშახტეთა შრომაა.. დღეს ამ ადამიანების საქმიანობაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სახიკეთო ძვრები მეშახტეთა შრომისა და დასვენების უკეთ ორგანიზაციის საკითხსაც მჭიდროდ უკავშირდება. საქმე ისაა, რომ მეშახტეთა შრომა გამორჩევით სპეციფიკურია და ძნელდება უშუალოდ შრომის პროცესთან ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შეხამება. ახლა ამოცანა ისაა, რომ ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების მდიდარი არსენალიდან აუცილებლად შეირჩეს ისეთი, რომელიც სწორედ მეშახტეთა შრომის თავისებურებებსა და ხასიათს მიესადაგება, ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობის განმტკიცებაში და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, ამგვარი ღონისძიებები გახდება საშუალება პროფესიულ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად. როცა საკითხს ასე ვაყენებთ, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი მეშახტეების წინაშე.

აი, ეს საკითხი წამოსწიეს წინა პლანზე რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა და საქართველოს სპორტკომიტეტმა. ამ დღეებში ტყიბულში ჩავიდნენ ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დავალებით შემუშავდება მეშახტეთა ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამა 1985-1990 წლებისათვის. შემდგომში ასეთივე ღონისძიება ჩატარდება ტყვარჩელში.

მეშახტეთა შრომისა და დასვენების უკეთ ორგანიზაციის საქმეს ბოლო ხანებში მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი ტყიბულის პარტიის საქალაქო კომიტეტმა. ამის შესახებ ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც წელს, 21 იანვარს გაიმართა თბილისში. ტყიბულელ კომუნისტთა ამოცანაა ყველა სპორტული ბაზა ჩააყენონ მეშახტეთა და მათი ოჯახის წევრთა სამსახურში (ქალაქის სპორტული ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა შახტმშენის სამმართველოს ბალანსზეა). წელს ტყიბულის ყველა სპორტულმა ობიექტმა იცვალა სახე, კეთილმოეწყო სპორტული დარბაზები და მოედნები, გადაიჭრა საცურაო აუზის გათბობის საკითხი. ახლა უშუალოდ შახტებთანაც სრული დატვირთვით ამოქმედდა სპორტული ბაზები, სპორტული მოედნები გაშენდა მეშახტეთა საცხოვრებელ ბინებთან. შორს არ არის ის დრო, როცა ტყიბულის შემოგარენში მეშახტეთათვის კეთილმოწყობილი დასვენებისა და ჯანმრთელობის ზონები პირველ სტუმრებს მიიღებს. ტყიბულის წყალსაცავზე გაშენდა მშრომელთა და ახალგაზრდობის გართობა-დასვენების შესანიშნავი კერა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალშიც ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რომ ტყიბული რესპუბლიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპორტულ ცენტრად იქცეს, რომ ფიზკულტურა და სპორტი ერთგული თანაშემწე იყოს მეშახტეთა შრომასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო 1966-1968 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა მესამე საერთაშორისო ტურნირი კრივში. საასპარეზოდ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უძლიერესი ჭაბუკი მოკრივე ჩამოვიდა. ასევე კარგად მომზადებულია საზღვარგარეთელი სტუმრების დელეგაციები (უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია).

გუშინ გამართული შეხვედრებიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა კახაბერ სამხარაძემ (48 კგ), რომელმაც ძლიერად ჩაატარა ორთაბრძოლა სსრ კავშირის ნაკრების წევრ ნიკოლაი კამოლდინთან და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ასევე ძლიერად იასპარეზა ამავე წონითი კატეგორიის ჩვენმა მეორე მოკრივემ გრიგოლ ძაგანიამ. მან სძლია სერგეი ლუპანოვს. მიხეილ კრეტოვმა დაამარცხა სერგეი სტეპანოვი (სამივე ქვეყნის ნაკრების წევრი). წინასწარ შეხვედრებში ასევე გაიმარჯვეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა — ნვერ ზახარიანმა (54 კგ), მიხაკ კაზარიანმა, ალექსეი რისკოვმა (ორივე 57 კგ), ვალერი დენისენკომ (67 კგ), სერგეი სოლონიკოვმა, გინაუსტავ ბაკანაუსკასმა და რუმინელმა მირიან გავრილემ (ყველა — 71 კგ.).



სურათებზე: სპორტის სასახლის რინგის კვადრატზე; ქვევით — კახაბერ სამხარაძისა და ნიკოლაი კამოლდინის ორთაბრძოლის მომენტი.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

ჩვიდმეტი დღე ელადის მიწაზე

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გამართულ ქალთა XI და ვაჟთა XXVI საჭადრაკო ოლიმპიადებზე ბრწყინვალედ გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. როგორც იცით, ჩვენმა ქალთა გუნდმა 42 შესაძლებლიდან 32 ქულა მოაგროვა და 4,5 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ ბულგარეთის ნაკრებს. თავის მხრივ, ბულგარელებმა ნახევარი ქულით ჩამოიტოვეს ბრინჯაოს პრიზიორები, რუმინელი მოჭადრაკეები. შეგახსენებთ ვაჟთა პირველ სამეულსაც: სსრ კავშირი — 56 შესაძლებლიდან 41 ქულა, ინგლისი — 37, აშშ — 35.

ჩვენმა გაზეთმა ისიც გაუწყათ, რომ საბერძნეთიდან თბილისს დაბრუნდა მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. დღეს გთავაზობთ საუბარს ოლიმპიადის ცხრაგზის ჩემპიონთან.



● ქალბატონო ნონა, მას შემდეგ, რაც სალონიკიდან დაბრუნდით, დიდი დრო არ გასულა და უკვე მეორედ ვხვდებით ერთმანეთს. ინტერვიუ აეროპორტში ხელდახელდა იყო, თუ შეიძლება ითქვას, წმინდა ინფორმაციული ხასიათისა. თუ ნებას მომცემთ, განვაგრძოთ იმდღევანდელი საუბარი... საბჭოთა ქალთა ნაკრები გუნდი ოლიმპიადებს როგორღაც შებოჭილად იწყებს. მართალია მატჩებს იგებს, მაგრამ ნაკლებ შთამბეჭდავად თამაშობს, მერე და მერე კი, როგორც იტყვიან, ფორმაში შედის.

— საბჭოთა ქალთა გუნდი მუდამ იმარჯვებს ოლიმპიადებზე, მაგრამ წარმატებას ზოგჯერ თავგანწირული ბრძოლით აღწევს, ზოგჯერ კი — საკმაოდ იოლად, თუმცა ნაკრებში ყოველთვის უძლიერესი მოჭადრაკეები შედიან. ოლიმპიადაზე, სადაც ყველა თავგამოდებით იბრძვის, ფსიქოლოგიურად ჩვენი გუნდი მუდამ დაძაბულია, რადგან მისგან, როგორც წესი, გამარჯვებას მოელიან, სხვები კი ამ ტვირთისგან თავისუფალნი არიან, მათთვის მეორე და მესამე ადგილიც კი დიდი მიღწევაა. აი, რატომ ვიწყებთ ხოლმე თამაშს დაძაბულად. ამ მხრივ არც ეს ოლიმპიადა ყოფილა გამონაკლისი...

● ბულგარეთის ნაკრები მხოლოდ ერთხელ, ზუსტად ათი წლის წინ მოხვდა პირველად ოლიმპიადის პრიზიორთა შორის, როცა კოლუმბიის ქალაქ მედელინში III ადგილი დაიკავა. და აი, ამ ოლიმპიადაზე, ყველასთვის მოულოდნელად, მან ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, თანაც, ერთხანს ლიდერობდა კიდეც. რითი ხსნით ბულგარელთა ესოდენ დიდ წარმატებას?

— ბულგარელებმა მართლაც გაგვაოცეს. მე, მაგალითად, არა მგონია, რომ ისინი უნგრეთის ან რუმინეთის გუნდებზე ძლიერნი იყვნენ, მაგრამ ყოველ მატჩში უდიდესი შემართებით, თავგანწირულად იბრძოდნენ. ბრწყინვალედ თამაშობდა მათი ლიდერი მარინა ვოისკა, რომელმაც თავის დაფაზე მეორე შედეგი აჩვენა. ბულგარელები წინ იყვნენ V ტურამდე, რადგან პირველი მატჩის მშრალი ანგარიშით (3:0) მოგების შემდეგ ჩვენ

(დასასრული მე-4 გვ.).

ქუთაისში, „ქუთბარიტის“ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის 26-ე გათამაშება ფარიკაობაში. ოთხი მთავარი ჯილდო — ქუთაისელ ოსტატთა მიერ გემოვნებით ნაკეთები ბროლის მახვილები გამარჯვებულებმა უფაში, მინსკსა და მოსკოვში წაიღეს.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში

რაპირისტ ქალთა შეჯიბრების ფინალი საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონის, 17 წლის ოლგა ველიჩკოს გარეშე ჩატარდა — ორჯონიკიძელი სპორტსმენი ბრძოლას ნახევარფინალში გამოეთიშა. ფინალში გასულ სპორტსმენთაგან კი სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებდნენ გამოცდილ ტრიოს — ოლიმპიურ ჩემპიონს ვალენტინა სიდოროვას, მსოფლიო ჩემპიონებს გუნდურ ჩათვლაში ირინა უშაკოვასა და ანა დმიტრიენკოს. სიდოროვამ და უშაკოვამ ფინალის პირველი ბრძოლა მოიგეს, დმიტრიენკომ კი ახალგაზრდა მოსკოველ ნატალია ისტრებოვასთან შეხვედრის შემდეგ (5:8) მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა. სიდოროვა-ვორშაკინას და უშაკოვა-ისტრებოვას შორის მთავარი ფინალის საგზურისთვის გამართული ბრძოლის შეხვედრათა შედეგები (8:1 და 8:2) გამოცდილ სპორტსმენთა აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს. ფინალში კი გამარჯვების სასწორი კარგა ხანს იხრებოდა ხან ერთი, ხან მეორე სპორტსმენის სასარგებლოდ. როცა ანგარიში 7:7 იყო, მინსკელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ირინა უშაკოვამ ორი გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს და საბჭოთა კავშირის თასი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე გავიდა თასის შარშანდელი მფლობელი ოლგა ვორშაკინა.

წინ მსოფლიო ჩემპიონატია

დაშნით მოფარიკავეთა წინასწარი შეხვედრები, განსაკუთრებით კი ნახევარფინალი, დაძაბული გამოდგა, თუმცა მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ფინალში გავიდა სამივე მსოფლიო ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში): ლეონიდ დუნაევი, ალექსანდრე მოჟაევი და ვალერი ხონდოგო. დანარჩენი ხუთი ფინალისტიც სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი იყო. ფინალურ ორთაბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონებს ერთმანეთთან მოუხდათ შეხვედრა. მთავარი ფინალის საგზური ორჯონიკიძელ მოჟაევს ხვდა. მისი მეტოქე იყო მერვე საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, მოსკოველი ვალერი პერელიოტოვი, რომელმაც ორი გამარჯვების შემდეგ მოიპოვა ეს უფლება. ორი თითქმის ორმეტრიანი მოფარიკავის შეუპოვარი ბრძოლა (10:10, 11:11, 12:12) ძალიან დიდხანს გაგრძელდა. როდესაც მოჟაევმა მეტოქეს გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა, ამ უკანასკნელის მწვრთნელებმა ჩხვლეტა გააპროტესტეს და დიდი ხნის დავის შემდეგ მსაჯებმა სპორტსმენებს ისევ ბილიკზე მოუხმეს. ამჯერად მოსკოველის იერიში შედეგიანი გამოდგა და საბჭოთა კავშირის თასიც მას ხვდა.



საკავშირო თასის გათამაშება ძალზე მკაცრი გამოცდა იყო ჩვენი რესპუბლიკის მუშკეტერებისთვის. რა თქმა უნდა, რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებაში ვლადიმერ აფციაურის მარცხი დასანანია. სახელოვანი სპორტსმენი მომავალში ალბათ ბევრჯერ დაამტკიცებს თავის მაღალ ოსტატობას. სხვა სახეობებში კი ჩვენს სპორტსმენებს, ორიოდე ხმლით მოფარიკავის გარდა, თითქმის არ ჰქონდათ ფინალში გასვლის შანსი და ქუთაისელი მაყურებლები, დილით, წინასწარ შეხვედრებში თავგამოდებული რომ ქომაგობდნენ ჩვენს მოფარიკავეებს, საღამოს იმედგაცრუებულნი ტოვებდნენ დარბაზს. საქართველოს ნაკრების ზოგიერთი წევრი დროდადრო მაინც კარგად ატარებდა

(დასასრული მე-3 გვ.).

იცურე, ბიჭო, იცურე!

— იცურე, ბიჭო, იცურე! —ხმამაღლა გასძახოდა ერთი მწვრთნელი თავის მოწაფეს აუზის ბორტიდან. მოწაფე დროდადრო მთელი ტანით ამოვარდებოდა წყლიდან, ჩაისუნთქავდა, მკლავებს აიქნევდა და ფეხებს კიდევ უფრო გულმოდგინედ ამუშავებდა. კაცმა რომ თქვას, ცურავდა, აბა რას შვრებოდა? მაგრამ — როგორ ცურავდა? აი, ეს იყო საქმე.

საქართველოს მოსწავლეთა ღია საშემოდგომო პირველობა, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, სწორედ ამას ისახავდა მიზნად: გამოერკვია, როგორ ცურავენ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეები. საქართველოში ცურვის პოპულარობა ახალი ამბავი არ არის. რაც შეეხება წარმატებებს, მიღწევებს, აქ კი... დღეს, როცა საქართველოს გუნდმა მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე ასეთი მარცხი იწვნია — მეცამეტე ადგილზე დარჩა, განსაკუთრებით მწვავედ დგას ნორჩ სპორტსმენთა სწორი და კარგი მომზადების საკითხი. ამით აიხსნება სპეციალისტთა დიდი ინტერესი შეჯიბრებისა და შეჯიბრების მონაწილეთა მიმართ.

ჩემპიონატზე მოწვეული იყო შვიდი გუნდი, საშემოდგომო-საგაზაფხულო პირველობათა ტრადიციული მონაწილენი: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ტყიბულის, ჭიათურის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კოლექტივები. აჭარის გუნდი საასპარეზოდ არ გამოცხადდა. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ბათუმში მეტისმეტად გაჭიანურდა დიდი და პატარა აუზების რემონტი. ვფიქრობთ, ახალი ამბავი არ არის, რომ სპორტსმენთა მომზადების დონე დიდად არის დამოკიდებული ბაზების ავკარგიანობაზე. ეს ჭეშმარიტება ამჯერადაც დადასტურდა. მაგალითად, ტყიბულისა და ჭიათურის მოცურავეები, რომელთაც სავარჯიშოდ შესაფერისი პირობები არა აქვთ, საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ თბილისისა და რუსთავის სპორტსმენებს. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც აფხაზეთშია. შედეგად მოხდა ის, რომ საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული 28 სახეობიდან 22 თბილისელებმა მოიგეს, 6 — რუსთაველებმა.

მაგრამ მოდით, ვილაპარაკოთ არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. სხვადასხვა დისტანციაზე პრიზიორთა შორის ერთსა და იმავე მოცურავეებს ვხედავდით. ამასთან, II-III, ზოგჯერ I ადგილის მოსაპოვებლადაც კი საკმარისი იყო... მეორე თანრიგის ნორმატივის შესრულება. არადა, ეს მოცურავეები არიან მოსწავლეები, რომელთა რიგებიდანაც სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ სპარტაკიადის მონაწილე გუნდს არჩევდნენ. როგორც ხედავთ, ჩვენს სპეციალისტებს დიდი არჩევანი მართლაც არ ჰქონიათ.

მოვუსმინოთ საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს **ლევ ვეჩხაიზერს**:

— მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებას რომ ვიწყებდით, იძულებული ვიყავით ნაკრების კანდიდატები მხოლოდ 120 სპორტსმენში შეგვერჩია. მწვრთნელთა საბჭო დიდი გულმოდგინებით ამოწმებდა თითოეულ მოცურავეს — აკვირდებოდნენ მათ შრომისუნარიანობას, ამტანობას, იყენებდნენ ტესტებს, ითვალისწინებდნენ ექიმების აზრს. საბოლოოდ შევარჩიეთ 60 სპორტსმენი, რომელთაგან 35 ტაშკენტში უნდა გამგზავრებულიყო. მაგრამ ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ნათელი გახდა, რომ 35 მოცურავეს თავს ვერ მოვუყრიდით, რადგან კატეგორიული უარი ვთქვით ასპარეზობაზე წაგვეყვანა ისეთი სპორტსმენები, რომლებზეც იმედს არავინ ამყარებდა. ამგვარად, ტაშკენტში 25 მოცურავე წავიყვანეთ. ვერ ვიტყვი, რომ მათგანაც ყველა ღირსი იყო ესოდენ საპასუხისმგებლო საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობისა, მაგრამ სადღეისოდ რესპუბლიკაში მათზე უკეთესი მოცურავეები არა გვყავს.

სპარტაკიადაზე ჩვენ XII ადგილზე გასვლა გვქონდა დაგეგმილი. ალბათ შევძლებდით კიდეც ამას, მაგრამ ერთ ჩვენს სპორტის ოსტატს ხელი მოეცარა. ამასთან, დაშავდა ლაშა დვალი, ისიც სპორტის ოსტატი. ჩვენ 26 ქულით ჩამოვრჩით ყირგიზეთის გუნდს და XIII ადგილზე გავედით. ბევრად უფრო გვაღელვებს ის, რომ XI ადგილზე გასულ ლატვიის გუნდს 600 ქულით ჩამოვრჩით.

რა უნდა ეღონა ასეთ პირობებში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ საუკეთესო და უდავოდ ნიჭიერ მოცურავეს, სპორტის ოსტატს, ელენე ზაქარეიშვილისა და იგორ კოიფმანის მოწაფეს ზაზა ზურაბაშვილს? საქართველოს გუნდს მან ყველაზე მეტი —48 ქულა მოუტანა, მაგრამ ამან, სამწუხაროდ, საქმეს ვერ უშველა. სპარტაკიადაზე კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები იანა პოტაპოვა და გოჩა რობაქიძე. 14 წლის მეორეთანრიგოსანმა იგორ არტიომოვმა (მწვრთნელი მერაბ საყევარიშვილი) ტაშკენტში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, მაგრამ ჩვენი გუნდი მაინც ვერ გასცდა XIII ადგილს.

გვესაუბრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროსი მწვრთნელი ცურვაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **კონსტანტინე რეშეტნიაკი**:

— ჩვენ გადავწყვიტეთ მოსწავლეთა შემდეგი საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადება სამი წლით ადრე დავიწყოთ. აქამდე, როგორც ცნობილია, ამგვარ წვრთნას მხოლოდ ასპარეზობამდე ერთი წლით ადრე ვიწყებდით. მზადების პირველი ეტაპი გახლავთ მოსწავლეთა წლევანდელი საშემოდგომო ჩემპიონატი. სტარტზე დავუშვით ყველა მსურველი, რაც ასევე სიახლეა. ამგვარად, საშუალება მოგვეცა შეგვემოწმებინა მთელი რესპუბლიკის 400-მდე სპორტსმენი. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით გვაინტერესებს 1970 და მომდევნო წლებში დაბადებულთა მომზადება, რადგან ამ ასაკის მოსწავლეებმა XVIII სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ. სამწუხაროდ, ესენი უმთავრესად მეორეთანრიგოსნები არიან. ამ ასაკში გვყავს 5-6 ოსტატობის კანდიდატი და ერთადერთი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — იგორ არტიომოვი. მომზადების ასეთი დაბალი დონის უპირველესი მიზეზია მოსწავლეთა არასწორი შერჩევა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისთვის. ხუთი-შვიდი წლის წინ დაშვებული შეცდომები ახლა იჩენს თავს. მაგრამ ჩვენ გულს არ ვიტეხთ, — თუ სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო გონივრულად გამოვიყენეთ, კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, ამ პირველობის მსვლელობისას დაახლოებით 200-მდე კარგი მონაცემების მქონე ნორჩმა სპორტსმენმა მიიქცია ყურადღება. მათ შორის უნდა გამოვყოთ თბილისელები ნათელა ბანძელაძე, ნანა ხერხეულიძე, ელენა კაზაკოვა, ქუთაისელი ნანა ჩუბინიძე, რომელმაც, სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტ. ზოტოვა), რუსთაველი ვიქტორია უტიცკიხი, ერიკ ბერაია და ოქსანა ავიძბა აფხაზეთიდან, სერგო შენგელია და კახა მეკოკიშვილი თბილისიდან და ბევრი სხვა. ამ მოცურავეებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევათ. მათი მწვრთნელები რეგულარულად მიიღებენ გეგმებსა და დავალებებს. თვით სპორტსმენებისთვის წელიწადში ოთხჯერ მოეწყობა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები. ადრე ის მოცურავეები, რომლებიც კონკურსის შედეგად რესპუბლიკის ნაკრებში ვერ მოხვდებოდნენ, ერთგვარად სპეციალისტთა ყურადღების მიღმა რჩებოდნენ, ახლა კი ვცდილობთ ეს შეცდომა გამოვასწოროთ.

სურათზე: ქუთაისელი ნანა ჩუბინიძე გამარჯვების შემდეგ.

ხომ შეიძლება ყველა ეს ღონისძიება დაგვიანებული აღმოჩნდეს? ხომ არსებობს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ხელის მტევნის სიგრძე, სახსრების მოქნილობა, პლასტიკურობა, — ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. სხვა სიტყვებით, თუ ადამიანს თანდაყოლილი არა აქვს ამა თუ იმ სახეობისთვის აუცილებელი მონაცემები, ეს დროულად უნდა შენიშნოს სპეციალისტმა. სხვაგვარად დიდ შედეგებზე ფიქრი ზედმეტია და იმ 200 თითქოს პერსპექტიულ ბავშვთან მუშაობა ამაოდ ჩაივლის.

აი, რას ამბობს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ცურვაში **იგორ ბარსკი**:

— ჩვენ გადავწყვიტეთ 1985 წლის იანვრიდან საქართველოში პირველად დავნერგოთ ლენინგრადელი კოლეგების გამოცდილება. თბილისის პირველი მაისისა და კიროვის რაიონებში საწყლოსნო-სპორტული კომპლექსების ბაზაზე მიღებული იქნება ცურვის სავალდებულო სწავლება ამ რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეორე-მესამეკლასელ მოსწავლეთათვის. გამოგიტყდებით, ამ გზით ორი კურდღელი ერთად გვინდა დავიჭიროთ: ცურვა ვასწავლოთ რაც შეიძლება მეტ ბავშვს და, ამავე დროს, შევარჩიოთ ნიჭიერი მოსწავლეები ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისათვის. გამოცდილ სპეციალისტს სამ თვეში თამამად შეუძლია სწორად შეაფასოს ბავშვის ნიჭი და უნარი. თუ ჩანაფიქრმა იმედი გაამართლა, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, დღევანდელი ახალბედების პირველი სპორტული მიღწევების პერიოდში, ჩვენ იძულებული აღარ ვიქნებით ვილაცის შეცდომების გამო თავი ვიმტვრიოთ.

რაც შეეხება საქართველოს წლევანდელ ღია საშემოდგომო ჩემპიონატზე შერჩეულ 200 ბავშვს, მათ შორის ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია და მწვრთნელთა სწორი მუშაობით სამ წელიწადში მართლაც შეიძლება სერიოზულ შედეგებს მივაღწიოთ.

პეპი გოგორიშვილი.

ყველასგან დაფასებული

ალექსანდრე ყუფარაძეს წულუკიძეში ყველა იცნობს. ასეთი საქმიანი და ენერგიული კაცი რაიონში მუდამ დაფასებულია. ახალგაზრდობაში იგი თავად იყო გატაცებული სპორტით, სხვა სახეობებზე მეტად კალათბურთი უყვარდა. ეს მისი პირველი მასწავლებლის ნიკოლოზ ჩხენკელის დამსახურებაც არის, რომელმაც ყმაწვილს სპორტის სიყვარულის გარდა შრომა და წესრიგიც ასწავლა.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, სწავლა წულუკიძის პედაგოგიურ ტექნიკუმში განაგრძო, შემდეგ კი განაწილებით გორის რაიონის სოფელ ფლავისმანის სკოლაში დაიწყო მუშაობა. დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა, მერე კი, როცა მშვიდობიანი ცხოვრების წლები დაიწყო, თავის საყვარელ სპორტს დაუბრუნდა.

ალექსანდრე ყუფარაძეს თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიოდად სწორედ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის დრო მიაჩნია. აქ იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სპორტსმენი (იყო ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდის წევრი და კაპიტანი) და როგორც პედაგოგი-სპეციალისტი.

იგი დაუღალავი და აქტიური მშრომელია. ამიტომ მუდამ ხალისით მიდის იქ, სადაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. გორისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტის უფროს მასწავლებელს დღესაც სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ კოლეგები და მეგობრები.

მაგრამ თავისი კუთხის დიდ მოსიყვარულეს გული მაინც მშობლიური წულუკიძისკენ მიუწევდა. ამიტომ 1951 წლიდან მტკიცედ დაფუძნდა მამა-პაპის მიწაზე. მაშინ უკვე პირველთანრიგოსანი კალათბურთელი იყო, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ფიზკულტურის წარჩინებული მუშაკი, რაიონში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა და რა გასაკვირია, ახალგაზრდობა ხალისით გაჰყვა.

ახლა, როცა ალექსანდრე ყუფარაძის ღვაწლზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, კალათბურთს იხსენებენ. მართლაც, სწორედ ამ დაუღალავი ენთუზიასტის თაოსნობით წულუკიძეში პირველად ჩამოყალიბდა კალათბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც რამდენჯერმე გაიმარჯვა „ბ“ ჯგუფის კოლექტივების რესპუბლიკურ პირველობაში. ერთხელ თვითონ ალექსანდრე ყუფარაძემ სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ საკავშირო პირველობაში საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

და მაინც, მისი საქმიანობა უფრო ნაყოფიერია წულუკიძის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში, რომლის დირექტორადაც მუშაობს 1976 წლიდან. აქ გამოავლინა მან მთლიანად თავისი პედაგოგიური ალღო, მისწრაფება, ნორჩ სპორტსმენებთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა მისი, როგორც მწვრთნელისა და აღმზრდელის უნარი.

ალექსანდრე ყუფარაძეს ბევრი რამ აქვს საამაყო. მისი ხელმძღვანელობით სპორტსკოლაში არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი აღიზარდა. ზოგმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში გამოიჩინა თავი, ზოგმა — საკავშირო შეჯიბრებებში. გია სანაძე, მაგალითად, ამჟამად თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში თამაშობს, თავის დროზე პერსპექტიული კალათბურთელები იყვნენ გულნარა ლოჩოშვილი და დალი დარახველიძე. ალექსანდრე ყუფარაძის აღზრდილებმა წარმატებით დაამთავრეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზაღზრდის საქმეს თავკაცობენ. ამგვარი სპეციალისტის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთი რესპუბლიკური და ერთი საკავშირო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში.

ალექსანდრე ყუფარაძე სამოცი წლის გახდა. მაგრამ მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სათქმელი და ალბათ იტყვის კიდეც, ვინაიდან უქმად ყოფნას არ არის ჩვეული.

რამდენიმე სტრიქონით

მშდ მრავალჭიდის პროგრამით

თერჯოლაში ჩატარდა რაიონის პირველობა მშდ-ს მრავალჭიდის პროგრამით მოკლე მანძილზე რბენაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეები.

რვაწლიან სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ძევრის სკოლამ, მეორე ადგილი წილად ხვდათ ტყიბულჰესის მოსწავლეებს, მესამე ადგილზე გავიდნენ თაჟასელები.

საშუალო სკოლებს შორის გაიმარჯვა თერჯოლის მეორე სკოლამ, მეორე ადგილზე არიან სიქთავრელი, ხოლო მესამეზე ქვედა სიმონეთის მოსწავლეები. შეჯიბრება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მეორმოცე წლისთავს მიეძღვნა.

ვანო კუტალაძე,
„ლელოს“ კორ.
თერჯოლა.

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია!

გადავწყვიტე შევიძინო თხილამურები. მათი ზომა და სისქე სხვადასხვაა. გთხოვთ მირჩიოთ, როგორ შევარჩიო თხილამური და რა გავითვალისწინო მისი შეძენის დროს.

ავთანდილ სარალიძე.
რუსთავი.

პასუხი: თხილამურის სიგრძე და სისქე უნდა შეესაბამებოდეს მოთხილამურის სიმაღლესა და წონას. ვინც მაღალი და მძიმეა, მისი თხილამური რაც შეიძლება გრძელი და სქელი უნდა იყოს. თხილამური უნდა დაიჭიროთ ვერტიკალურად. თუ მის წვერს ხელისგულით სწვდებით, ჩათვალეთ, რომ თქვენთვის შესაფერისი ყოფილა. არის სხვა ხერხიც: ვინც 50-55 კილოგრამს იწონის, მისი თხილამურის სიგრძე უნდა იყოს 190 სმ, 60-65 კგ-ზე — 2 მეტრი, 65-75 კგ-ზე — 10 სანტიმეტრით გრძელი და ა. შ.

დებიუტანტი

ლევან ბეროზაშვილი

კლასიკური ჭიდაობა

დაიბადა 1969 წლის 12 აგვისტოს თბილისში.
სიმაღლე 174 სმ, წონა 70 კგ.
სწავლობს 132-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასში.
ვარჯიში დაიწყო 1979 წელს სპორტის ოსტატ ნოდარ გულუაშვილის ხელმძღვანელობით



ამჟამად ავარჯიშებენ გივი გერმესაშვილი და თამაზ სირბილაძე.
პირველთანრიგოსანია.
სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვები“.
საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრია 1983 წლიდან.
1983 და 1984 წლებში მოიგო საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის, წელს მოიპოვა, აგრეთვე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი, გახდა ლენინგრადში ჩატარებული საკავშირო ტურნირის III პრიზიორი.

აღტაცებაშიც სიდინჯე გვმართებს

პრესაში ადრე გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ გოლის გატანით გახარებულ ფეხბურთელს (ამ შემთხვევაში უფრო თავგზააბნეული მიესადაგება), მინდვრიდან გასვლა ეკრძალება. ვერ ვიტყვი, დროული გადაწყვეტილება-მეთქი, მაგრამ რაკი „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“, ნამდვილად მისასალმებელია. თორემ, სხვაც არა იყოს რა, ვიდრე მაყურებლისკენ გაქცეულ იმ ფეხბურთელს მოაბრუნებდნენ, არც თუ ისე უმნიშვნელო სათამაშო დრო იკარგება (ამ უგეგმო სირბილით ისედაც დაღლილი ფეხბურთელის კიდევ უფრო დაღლა სხვაა). თუმცა ეს იმდენი არაფერია იმასთან შედარებით, რაც, საერთოდ, სათამაშო მინდორზე ხდება.

ორმოცდაათიან წლებში (და უფრო ადრეც), ვინც ჩვენს სტადიონზე დადიოდა, კარგად ემახსოვრებათ: რაც უნდა კრიტიკულ მომენტში გაეტანა გოლი, ისე იღებდა გუნდი, როგორც უბრალო, ჩვეულებრივ, სავალდებულო რამეს. გოლის გამტანს ან გამოწვდილ ხელში ჩაურტყამდნენ ხელს, ანდა მხარზე მოუთათუნებდნენ — ეს იყო და ეს! არც მისალოცად მირბოდა ვინმე მასთან. ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს — გუნდი მოსაგებად გამოდის მოედანზე (თუმცა წასაგებად გამოსულიც მინახავს) და აღარც გასაკვირია, მოიგოს. მერე, მერე ისე უნდა გაახაროს მოგებამ (კინაღამ წამომცდა, გადარიოს-მეთქი), რომ თვით მსოფლიოში აღიარებული ფეხბურთელიც მალაყებზე გადავიდეს? მართალი გითხრათ, დონ-კიხოტის მალაყებისა მშვენივრად მესმის, ამათი მალაყებისა კი ვერაფერი გამიგია. ამ ათიოდე წლის წინ, თელავში რომელიღაც საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთი უცხოელი მონაწილე ვიღაც ქართველმა ახალგაზრდამ ალაზანში დახრჩობას გადაარჩინა. გვარი ჰკითხეს — გაზეთში უნდა გაგწეროთო. რატომ, ვითომ არ უნდა გადამერჩინაო?! ერთი შეხედვით, თითქოს კურიოზია, მაგრამ სწორედ ერთი შეხედვით, ისე კი ლოგიკურია იმ ახალგაზრდის გაოცება, უცხოეთის პრესაც ამიტომ მოიარა. ჰოდა, გოლს რომ გაიტანს ფეხბურთელი, ისე უცნაურად გამოხატავს ამ სიხარულს, აქეთ ვვარდებით უხერხულობაში. გაიტანს გოლს, ასწევს ხელს ან ხელებს და გაიქცევა. მთელი გუნდი დასაჭერად დასდევს. სადამდე ირბენს: დაიჭერენ და იმართება კიდევაც ჯერ აჩიკუდა, მერე — გრძელი ვირი, ბოლოს — ზედახორა. ამას, მარტო სტადიონზე მოსული მაყურებელი რა სათქმელია, მილიონობით ადამიანი უყურებს ტელევიზორით. არა, მაინც, რა უხარიათ ასე, არ უნდა გაეტანა? პირველი ბურთი გაჰქონდეს, ასე თუ ისე, ეპატიება, მაგრამ უკვე საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელია და, არ ვიცი, ღმერთმანი, ნამდვილად არ ვიცი, რატომ განიცდის ქვეყნის დასანახად? ერთ თამაშში რამდენი გოლიც უნდა გაიტანოს, სიხარულის ამგვარი გამოხატვა არ უნელდება მაინც. სიხარულის განცდა, იშვიათობას, მოულოდნელობას ნიშნავს. მაგრამ ეს მოულოდნელობა, იშვიათობა კანონზომიერებად რომ იქცევა უკვე, ამ შემთხვევაში სიხარულის ცნებაც იცვლება. იქნებ ეს უკვე ჩვევაა? ნამდვილად ასეა, თორემ მინდორზე გოლის გასატანად გამოსულმა კაცმა რომ მართლაც გაიტანოს გოლი, არა მგონია ფუნდრუკად, კუნტრუშად, მალაყებად, გრძელ ვირად, ზედახორად ღირდეს.

სამოციან წლებში, როცა უცხოეთის გუნდებმა ჩამოსვლას მოუხშირეს და ტელევიზორის ფასიც გავიგეთ, მას აქეთ შემოვიდა ჩვენში გახარებული ფეხბურთელების ამგვარი ხტუნაობა და მტლაშამტლუში. იმას რა მათქმევინებს, ამის გარდა მათგან სხვა სასიკეთო არაფერი გადმოულიათ-მეთქი, მაგრამ ეს კი მისაბაძი,

გადმოსანერგი არ იყო (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მარტო ქართულ გუნდებს არ ვგულისხმობ). ვიცი: ფეხბურთელი უპირველესად თავისი სიამოვნებისათვის უნდა თამაშობდეს, შემდეგ — მაყურებლისა. როცა თვითონ წვალობს, ჯახირობს, იტანჯება, მაშინ სხვათა სიამოვნებას მადლიც აკლდება და მარილიც. და როცა ბურთი გააქვთ მოწინააღმდეგის კარში, მისი (ფეხბურთელის) სიხარულის, პატივისცემის დასამტკიცებლად ვითომ მაყურებლის ოვაცია არ კმარა?

როგორც ადრე ვთქვი, ეს უკვე მიმბაძველობაა (თუნდაც ისევ ძველი ფეხბურთელების ფონზე). მიმბაძველობა კი ძირითადად ბავშვის ხასიათია, ბუნებაა. ბავშვების თამაშს რომ ვუყურებ (ოფიციალურ თამაშებს ვგულისხმობ), სიმწრით მეღიმება: გოლის გატანას ზუსტად ისეთი „აღფრთოვანება“ მოსდევს, როგორიც ამას უმაღლესი თუ ქვემორე გუნდების დიდოსტატი და ოსტატი ფეხბურთელები აკეთებენ. ვითომ გაემტყუნებათ?

ეუსებიო ბურთს რომ გაიტანდა (ტელევიზორით მინახავს), მარჯვენა ხელს ზუსტად ისე იქნევდა წრიულად, როგორც ჩვენ ვიცოდით პატარაობისას, როცა ფერდობზე დავეშვებოდით ხოლმე. ზოგი მუხლებზე დაეცემა და ლოცულობს, ზოგი თვითონ ახტება სხვას. ზოგიც ისე იქნევს ხელს, იურიდიული ტერმინით რომ ვთქვათ, მხოლოდ მოხულიგნო ელემენტების მოქმედებაში თუ წააწყდებით. დასავლეთ ევროპის რომელიღაც გუნდის ერთი ზანგი ფეხბურთელი კიდევ ისე სწევდა მარჯვენა ხელს, სამხედრო ორკესტრის დირიჟორი გეგონებოდათ. ასე მივიდა ტრიბუნამდე, მერე „ადგილზე ნაბიჯით იარ“ გააკეთა ცხრაასიანი წლების კინოს კვალობაზე, ასწია ხელი და გაშეშდა! როგორც ვატყობ, ყველა ფეხბურთელი ცდილობს ორიგინალური, სხვისგან განსხვავებული, სიხარულის გამომხატველი ილეთის დამუშავებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახერხებს კიდევაც. შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, სხვის გემოვნებას რომ შევეხოთ, ამისი უფლება არ გვაქვსო. კეთილი და პატიოსანი, მაშინ ჩემს გემოვნებაზე მოგახსენებთ, სხვათა შორის, ამ პატარა წერილსაც ამ კუთხით ვწერ. გარდა ამისა, ერთ უბრალო მაგალითსაც მოვიტან: მწერალი წიგნებს წერს, მხატვარი ხატავს, მსახიობი თამაშობს და ასე შემდეგ. ახალი წიგნის გამოცემის შემდეგ— მწერალმა, ახალი როლის შესრულების შემდეგ — მსახიობმა, ახალი ტილოს დამთავრების შემდეგ — მხატვარმა და ასე შემდეგ, გახარებული ფეხბურთელის ანალოგიური ემოციები რომ გამოხატოს, რას იტყვიან თუნდაც იგივე ფეხბურთელები? ან იქნებ მათი ნამოღვაწარი გატანილ გოლზე ნაკლები ჰგონია ვინმეს? მართალია, მათი შემოქმედების ნაყოფი ყველა შედევრად არ ჩაითვლება, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ არც ყველა გატანილი გოლი ჩაითვლება ტაშის ღირსად? თანაც მწერალთა, ხელოვანთა შემოქმედება რაღაცით ჰგავს ფეხბურთელთა გარჯას, რაკი არც ხელოვნებასა და ლიტერატურაშია უცხო რიკოშეტი, თამაშგარე მდგომარეობა, მინდვრიდან გაძევება, ბევრი, ბევრი ამდაგვარი რამ და კიდევ სხვათა მიერ დალეჭილი გოლის გატანა.

ემოციების უგერგილოდ გამოხატვის მხრივ, რასაც სხვა გუნდები აკეთებენ, იმასთან შედარებით ჩვენი „დინამო“ პირველი კლასის მოწაფესა ჰგავს, მაგრამ ესეც ჭარბი, ძალიან ჭარბი მეჩვენება.

როცა ფეხბურთელები იცვლებიან, გამომცვლელი და შემცვლელიც ერთმანეთს კუკუხნაკზე ურტყამენ ხელს (კალათბურთელებმაც ასე იციან). ნეტა გამაგებინა, სადაური მისალმებაა ეს!.. ხელის ჩამორთმევა, ვიცი — გადმონაშთია: ვიდრე ადამიანები ჩაქუჩს გამოიგონებდნენ, მანამდე ერთმანეთს ქვას ურტყამდნენ თავში. ა, ბატონო, ხელში არაფერი მიჭირავსო, კეთილმოსურნეობის ნიშნად ცარიელ ხელებს უწვდიდნენ ერთმანეთს და მისალმების ერთ-ერთ სახეობადაც იმ დროიდან იქცა.

ხშირად, ძალიან ხშირად ვხდებით სიმულაციის მოწმენი: ისე იკლაკნება ფეხბურთელი, ისე გორაობს, გგონია ხელით გასაყვანი გახდებაო. ჰაი, ექიმი, ჰაი, დამნაშავის მკაცრად დასჯა, ჰაი მაყურებლის გულისწყრომა, მაგრამ უცებ (სწორედ რომ უცებ), წამოხტება ფეხბურთელი და ისევ ყინჩად ხალისით დასდევს ბურთს... ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიკვირდა, როცა წავიკითხე, არგენტინაში ფეხბურთელებს ექიმები სპეციალურ კურსს უტარებენ სიმულაციაშიო. მერე, ასე მოგებულ თამაშს თუ მოპოვებულ ქულას ფასი აქვს ვითომ? სიმულაციას, რაც უნდა სასარგებლო შედეგი მოჰყვეს, არასოდეს არ ჰქონია კეთილშობილური ნიუანსიც კი. როცა ესა თუ ის მასპინძელი გუნდი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობს, ბურთს ან მეკარესთან გაათამაშებენ ხოლმე, ანდა ერთმანეთს უგორებენ. ეს კიდევ არაფერი: თამაშს მინიმალური ანგარიშით თუ იგებენ მასპინძლები, მოედნიდან გასული ბურთის შემოტანას განგებ აჭიანურებენ პატარა ბიჭები. ვითომ არაფერია, მაგრამ ამგვარ ქცევაში მათი მომავალი მაინცდამაინც ლამაზ ფერებში არ მესახება...

ბევრი ექსპერიმენტი ტარდება საქართველოში, ამ მხრივ, ნამდვილად გვეთქმის სიტყვა. ასეა და, მოდი, ბარემ ჭარბი ემოციების მოთოკვის მხრივაც ჩვენ მივცეთ სხვას მაგალითი, დავიბრუნოთ ის ელეგანტურობა, რაც ასე ახასიათებდა „დინამოს“ ორმოცდაათიან წლებში. მით უმეტეს, ასეთი თავდაჭერილობა ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული ნიშანიც გახლავთ.

კარლო კობერიძე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მოულოდნელობათა ტური

მოსკოვსა და ლენინგრადში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტურის მატჩები.

● **მოსკოვი.** გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის ადგილობრივი არმიელების და რიგის ვეფ-ის კალათბურთელთა შეხვედრის პირველ ნახევარში მოვლენები ლოგიკურად ვითარდებოდა. ცსკა-მ, რომელიც არც თუ უსაფუძვლოდ უმაღლესი საკალათბურთო ტიტულის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება, დამაჯერებლად დაიწყო თამაში. მე-20 წუთისთვის მას უკვე ქულათა სოლიდური მარაგი ჰქონდა — 63:41. არმიელები მეორე ტაიმის დასაწყისშიც ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ სურათი მალე შეიცვალა. ვეფ-მა შეამცირა სხვაობა და ლიდერის წარმატებაც ერთობ საეჭვო გახდა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებში გადაწყდა. გამოცდილმა არმიელებმა ეს მძიმე ბრძოლა ბოლოს და ბოლოს სასურველი ანგარიშით დაამთავრეს — 102:95.

სამაგიეროდ სენსაცია მეორე შეხვედრაში მოხდა. მისი ავტორი იყო თბილისის დინამოელთა ერთ-ერთი უახლოესი მეტოქე ამ ჩემპიონატში — ტაშკენტის „უნივერსიტეტი“, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელად დაამარცხა მინსკის რტი — 91:82.

ბოლოს და ბოლოს 2 ქულა აიღო თბილისის „დინამომაც“, მაგრამ მისი გამარჯვება მოსკოვის თანაკლუბელებთან არ იყო მაინცდამაინც დამაჯერებელი—115:113, მაგრამ ეფექტურ მოგებაზე ახლა ვინლა ფიქრობს. თბილისელთა მთავარი ამოცანაა რვა უძლიერესს შორის მოხვედრა და ამ მიზნის მისაღწევად გუნდმა ყველაფერი უნდა იღონოს.

ლენინგრადი. სენსაცია ამ ჯგუფშიც მოხდა. ადგილობრივმა „სპარტაკმა“, როგორც იქნა შეაჩერა „ჟალგირისი“ და ამით დიდი სამსახური გაუწია მოსკოვის არმიელებს. „სპარტაკმა“ მეტოქეს ერთი ქულით აჯობა (74:73) და კიდევ უფრო განიმტკიცა ადგილი სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე.

ორი დანარჩენი შეხვედრა ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) 116:86, ასკ (კიევი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 94:89.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 დეკემბრისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	19	17	2	1952-1587	36
ცსკა	19	17	2	1971-1579	36
„სპარტაკი“ (ლენინგრ.)	19	12	7	1576-1512	31
ვეფ-ი (რიგა)	19	11	8	1747-1758	30
„სტროიტელი“ (კიევი)	19	10	9	1632-1665	29
ასკ (კიევი)	19	10	9	1606-1721	29
რტი (მინსკი)	19	9	10	1551-1550	28
„დინამო“ (თბილისი)	19	9	10	1728-1859	28
„უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი)	19	7	12	1630-1718	26
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	19	6	13	1650-1787	25
„სპარტაკი“ (ვლადივ.)	19	4	15	1641-1806	23
„დინამო“ (მოსკოვი)	19	2	17	1675-1828	21

ლიდერია ვახტანგ იაგორაშვილი

თბილისში გრძელდება თანამედროვე ხუთჭიდელთა რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზზე. როგორც ვიუწყებოდით, ასპარეზობა მხოლოდ ტექნიკურ სახეობებში (ცხენოსნობა, ფარიკაობა, სროლა) ტარდება და მასში ჩვენი სპორტსმენების გარდა მოლდავეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხუთჭიდელებიც მონაწილეობენ. ორი სახეობის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს თბილისის არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენელი, იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში ვახტანგ იაგორაშვილი.

წინ მსოფლიო ჩემპიონატია

(დასასრული)

ბრძოლას, მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანად გუნდს ჯერ კიდევ არ შესწევს იმდენი ძალა, რომ წარმატებით იასპარეზოს ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ საკავშირო სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ფარიკაობაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **გალინა გოროხოვას.**

● **საკავშირო თასის მოპოვება ყველა სპორტსმენისთვის დიდი წარმატებაა, მაგრამ თქვენთვის, მწვრთნელებისთვის, ამ შეჯიბრებას ალბათ სხვა მნიშვნელობაც აქვს...**

— გაისად გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატები როგორც იუნიორ, ისე მოზრდილ მოფარიკავეთა შორის. ამიტომ აუცილებელი იყო მანამდე ორივე ნაკრების ყველა კანდიდატის მზადყოფნის შემოწმება. ახალგაზრდების ჩემპიონატი აპრილშია დაგეგმილი. ამდენად, ქუთაისში მათ მაღალი სპორტული ოსტატობა უნდა ეჩვენებინათ. გამოცდილ მოფარიკავეებს კი მსოფლიო ჩემპიონატამდე შვიდი თვე დარჩათ, მაგრამ თასის გათამაშებას ყველა სერიოზულად უნდა მოკიდებოდა — ქვეყნის ნაკრების ლიდერი ყოველთვის გამარჯვებას უნდა ესწრაფოდეს.

● **ალბათ ამიტომ უფრო საწყენია ვლადიმერ აფციაურის წარუმატებლობა...**

— მომავალ სეზონში სპორტსმენებს ბევრ შესარჩევ შეჯიბრებაში მოუწევთ მონაწილეობა. ამიტომ აფციაურის მარცხიდან დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ჩვენ კარგად ვიცნობთ ახალგაზრდა ქართველ მოფარიკავეს, ვიცით, რომ ის მოკლე ხანში აღწევს უმაღლეს სპორტულ ფორმას. ამიტომ მჯერა, თუ გეგმაზომიერად მოემზადება, იგი კვლავინდებურად დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

● **ხართ თუ არა კმაყოფილი შეჯიბრების საერთო დონით, გაამართლა თასის გათამაშებამ თავისი დანიშნულება?**

— რა თქმა უნდა. სპორტსმენებმა ოთხივე სახეობაში კარგი მომზადება გამოავლინეს და მაყურებელმა, დამეთანხმებით, ძალიან საინტერესო ბრძოლებიც ნახა.

● **რას გვეტყვით ასპარეზობის ორგანიზაციაზე, დარბაზზე?**

— მართალია, ამჟამად შეჯიბრებას ბევრგან ატარებენ მაღალ დონეზე, მაგრამ მასპინძლებს ხშირად ასპარეზობის გარდა არაფერი ახსოვთ. აქ კი, გარდა იმისა, რომ ყველაფერმა უნაკლოდ ჩაიარა, შეჯიბრების მონაწილეებისთვის ყოველდღე ეწყობოდა ექსკურსიები, სხვა კულტურული ღონისძიებები, დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ჩანდა, რომ მასპინძლებმა სული და გული ჩააქსოვეს შეჯიბრების კარგად მომზადებასა და ჩატარებაში. მადლობის მეტი რა გვეთქმის ჩვენი შეფების — ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციის, სპორტული კომპლექსის თანამშრომლებისა და განსაკუთრებით სპორტკომიტეტის მიმართ. მთავარი მსაჯის მოადგილეს მორის სახვაძეს კი ხშირად გაუწევია ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის და მისი გამოცდილება ახლაც ძალიან გამოადგათ მასპინძლებს. ეს დარბაზები კი ფარიკაობისათვის ზედგამოჭრილია — ყველაფერი კარგად ჩანს და მსაჯებს და მწვრთნელებს მუშაობა გაგვიადვილდა. ერთი სიტყვით, ფარიკაობის მოყვარულები ქუთაისში ნამდვილი სპორტული დღესასწაულის მოწმენი გახდნენ.

გიორგი ჩოჩიშვილი,
(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).
ქუთაისი.

ჩვიდმეტი დღე ელადის მიწაზე

(დასასრული)

ხან ნახევარ ქულას ვკარგავდით, ხან თითოს. ამით ისარგებლეს ბულგარელებმა და ქულათა საკმაო მარაგი შეიქმნეს, რაც ძალიან გამოადგათ. სტარტზე წარუმატებლობას ჩვენს გუნდში პანიკა არ გამოუწვევია. მთავარი ბრძოლები წინ იყო — უშუალო კონკურენტებთან უნდა გაგვერკვია ურთიერთობა. V ტურში ლიდერები დავამარცხეთ, დავწინაურდით და უკვე ვეღარავინ დაგვეწია.

● თქვენ უკვე თქვით, რომ ეს ოლიმპიადა შედარებით იოლად მოიგეთ. რამ განაპირობა ეს — საბჭოთა გუნდის სიძლიერემ თუ მეტოქეების სუსტმა თამაშმა?

— ბულგარელებთან მატჩში წარმატების შემდეგ იუგოსლაველები დავამარცხეთ, მანამდე კი ჩინეთისა და ინდოეთის გუნდებს მოვუგეთ. ყველამ დიდი ანგარიშით დათმო ჩვენთან ბრძოლა. აი, ამ წარმატებამ უკვე საბოლოოდ დაგვარწმუნა ჩვენს ძალაში, დავმშვიდდით და, როგორც იცით, ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე I ადგილი უკვე მოპოვებული გვქონდა. საერთოდ, თუ რაიმე შემთხვევა არა, საბჭოთა გუნდი არა მგონია რომელიმე მეტოქემ დაჯაბნოს.

● ახლა გუნდის წევრებზეც გვითხარით რამე.

— მაია ჩიბურდანიძემ ოთხი პარტია მოიგო და შვიდი ყაიმით დაამთავრა. პირველი დაფისთვის ცუდი შედეგი არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, დაფაზე საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად პროცენტული მონაცემები არ აღმოჩნდა საკმარისი. სხვათა შორის, ამ ყაიმებიდან ექვსი დიდოსტატური იყო, თანაც დაკარგულ ქულებს არ უმოქმედია გუნდის შედეგზე.

მეორე დაფაზე, მოგეხსენებათ, ირინა ლევიტინა თამაშობდა. მსოფლიო პირველობაზე მატჩის წაგების შემდეგ მოჭადრაკე უარყოფითი ემოციებით უფროა სავსე, ვიდრე დადებითით. ირინამ, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო ენერგიის აღდგენა. მან ოლიმპიადაზე სამი პარტია მოიგო, შვიდი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო, ისიც შემთხვევით — ფიგურა დაუსვა მეტოქეს.

მე მესამე დაფაზე 10 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოვაგროვე, შვიდი პარტია მოვიგე და სამი ყაიმით დავამთავრე. რვიდან უკვე შვიდი ქულა პოლონელ შმაჩინსკასთან შეხვედრისას დამიგროვდა. ძალიან კარგი პოზიცია შემექმნა, არც ლევიტინას ჰქონდა ურიგოდ საქმე. ამ დროს ჩვენმა კაპიტანმა, დიდოსტატმა აივარ გიპსლისმა დამიძახა. მან მე და ირინას შემოგვთავაზა, ყაიმზე შეუთანხმდით მეტოქეებსო. მე ჯერ ვიუარე, მაგრამ აივარმა მითხრა, ტყუილად რატომ იკლავ თავს, პირველ ადგილს უკვე ვეღარავინ შეგეცილება და შენს დაფაზე მცირე ოქროს მედალიც მოპოვებული გაქვსო. ჩვენც დავთანხმდით. ორივემ ყაიმი შევთავაზეთ მეტოქეებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქულების დათვლისას შეცდომა იყო დაშვებული. ბრაზილიის გუნდში მოგვარეები იყვნენ, ერთი მესამე დაფაზე თამაშობდა, მეორე სათადარიგო იყო. ისინი ხშირად ცვლიდნენ ერთმანეთს, ერთი სულ იგებდა, მეორე კი პირიქით. ჰოდა, ამან არივ-დარია ყველაფერი. სახელს არ მიაქციეს ყურადღება, მხოლოდღა გვარს დაეყრდნენ. გამოირკვა, რომ ძირითად მოთამაშეს 9 ქულა ჰქონდა.

ამ ოლიმპიადამდე დაფებზე გამარჯვებული იმის მიხედვით ვლინდებოდა, თუ რამდენ ქულას მოაგროვებდა ყველა მეტოქესთან და რამდენ პარტიაში. ამჯერად, პირველად ოლიმპიადების ისტორიაში, ექსპერიმენტის სახით, სხვა მეთოდი გამოიყენეს: მოჭადრაკის მიერ დაგროვილ ქულებს ემატებოდა მისი მოწინააღმდეგის საშუალო კოეფიციენტი. აი, ამგვარი დაჯამების შემდეგ, ჩემი კოეფიციენტი უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ბრაზილიელისა, მაგრამ მედლები ძველი წესის მიხედვით განაწილდა.

ჩვენი გუნდის სათადარიგო წევრი ლიდია სემიონოვა იყო და უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალედ ითამაშა — 10-დან 9,5 ქულა მოაგროვა და ის ნახევარი ქულაც ბოლო ტურში დაკარგა. ლიდია ღამის სამ საათამდე ებრძოდა ჰოლანდიელ ბელეს, მაგრამ ვერ გატეხა მისი წინააღმდეგობა, თუმცა ამ დაკარგულ ნახევარ ქულას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სემიონოვას ეს შედეგი საუკეთესო იყო ქალთა ტურნირში. საერთოდ მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე — შესამჩნევად გაწაფულა და საგრძნობლად აუმაღლებია ოსტატობა.

● რას გვეტყვით პია კრამლინგსა და მის გუნდზე?

— კრამლინგმა შესანიშნავად ითამაშა და I დაფაზე მცირე ოქროს მედალი მოიპოვა. მას ერთი საოცარი თვისება აქვს, სჭირდება თუ არა გუნდს, ყველა პარტიას უდიდესი აზარტით თამაშობს. ცაიტნოტშიც ხშირად ხვდება, მაგრამ მაინც იმარჯვებს. ალბათ გახსოვთ, თბილისის საერთაშორისო ტურნირში ერთხელაც არ მოსცილებია დაფას. ამჯერადაც ასე იყო. კრამლინგი მთელი არსებით მიეცა ჭადრაკის სტიქიას. რაც შეეხება შვეციის ნაკრებს, მას არასოდეს ჰქონია დიდი პრეტენზიები.

● სალონიკში ქალთა კომისიის სხდომა ჩატარდა. თქვენ, როგორც ამ კომისიის თავმჯდომარე, ცხადია, ამჯერადაც უხელმძღვანელებდით სხდომას. რა საკითხები განიხილეთ?

— ჩვენ ფიდე-ს ვთხოვეთ, განიხილოს ერთი საკითხი: მოჭადრაკე ქალს ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის წოდება ქალთა საერთაშორისო დიდოსტატის ბალად არ ჩაეთვალოს. ქალმა ეს წოდება ქალთა ტურნირში უნდა მოიპოვოს.

დავსვით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. დღეს დიდი სხვაობაა ქალთა და ვაჟთა რეიტინგებს შორის; დადგა დრო სხვაობა შემცირდეს; ბევრი მოჭადრაკე ქალი სწორედ იმ მიზეზით გაურბის ქალთა ტურნირებს, რომ ამ შეჯიბრებათა დაბალი კოეფიციენტის გამო მას რეიტინგისთვის ქულები დააკლდება. ამიტომ ისინი ვაჟთა ტურნირებში გამოსვლას ამჯობინებენ. პროფესორმა ელომ, რომელიც ჩვენს სხდომას ესწრებოდა, აღგვითქვა, ვიფიქრებ ამ საკითხზეო, ვიმედოვნებთ, რომ მალე ეს პრობლემაც გადაჭრილი იქნება.

● ხომ არ ყოფილა ლაპარაკი ქალთა მსოფლიო პირველობის ახალ, 1985-1986 წლების ციკლზე. ხომ არ არის რაიმე სიახლე?

ისეთი არაფერი. ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება ძალაში რჩება, ოფიციალურ დოკუმენტში დაშვებული შეცდომა გასწორდა. შეგახსენებთ: ჯერ გაიმართება ზონალური ტურნირები, შემდეგ, მაის-ივნისში, ორი საზონათშორისო ტურნირი ჩატარდება. ერთ-ერთში მეც ვითამაშ, ვინ გვიმასპინძლებს, ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ამ შეჯიბრებებში სამ-სამი გამარჯვებული და პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი ერთ ჯგუფს შექმნიან. ტურნირი ორ წრედ ჩატარდება და პირველ ადგილზე გასული 1986 წლის მატჩში შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონს. ამრიგად, სამწლიანი ციკლი ორწლიანით შეიცვალა.

● საინტერესოა, პოლგარი მიიღებს ამ ციკლში მონაწილეობას?

— ძნელი სათქმელია, სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცი, რომ ერთი სერიოზული მეტოქე ჩვენს ქალებს უკვე ჰყავთ — პია კრამლინგი.

● საზონათშორისო ტურნირამდე სად ითამაშებთ?

— ანგოლის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამოვალ. ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემთან ერთად ითამაშებენ ბრაზილიელი სუნიე და იუგოსლაველი ბარლოვი.

საუბარი ჩაიწერა
დავით ჭელიძემ.

ო. ნ. ერქომაიშვილი



ქართველ მთამსვლელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა სპორტის ოსტატი ომარ ნიკოლოზის ძე ერქომაიშვილი. წავიდა ჩვენგან შესანიშნავი სპორტსმენი, ჩინებული გეოგრაფი, ერთგული მეგობარი, ოჯახის მზრუნველი მამა.

ო. ერქომაიშვილი თითქოს მთამსვლელობისთვის იყო გაჩენილი. მასში გასაოცრად იყო შერწყმული ძლიერი ნებისყოფა, უზომო სიკეთე და არაჩვეულებრივი თავმდაბლობა.

ომარმა 1964 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოღვაწეობდა. 1964 წლიდანვე იწყება მისი ათწლიანი საქმიანობა სამხედრო ალპინიზმის განვითარებისათვის, იგი იყო სული და გული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთამსვლელთა გუნდისა, რომელმაც 1965-70 წლებში ხუთჯერ მოიპოვა ჩემპიონობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე სპორტული ასვლების სხვადასხვა კლასში.

დალაშქრული აქვს უშბა, შხელდა, შხარა, ჩატინი, კავკასიონისა და პამირის მრავალი რთული მწვერვალი. ომარი იყო საუკეთესო წარმომადგენელი სპორტსმენთა იმ თაობისა, რომელმაც მიხეილ ხერგიანის მხარდამხარ ხელი შეუწყო საქართველოში კლდეზე ცოცვის შემდგომ განვითარებას.

ო. ერქომაიშვილი, როგორც ინსტრუქტორი, სისტემატურად მონაწილეობდა მასობრივი ასვლების ორგანიზაციაში და ბევრი ახალბედა აზიარა მთამსვლელობას, ასწავლა მთის სიყვარული, ერთგულება და თავდადება. მდიდარი მთამსვლელური გამოცდილება და ოსტატობა მან მეცნიერებაშიც შემოიტანა — მყინვარებისა და მიწისქვეშა სამყაროს შესწავლას მოახმარა. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ურთულესი სიღრმით ჩასვლა კარსტულ მღვიმეებსა და შახტებში. დიდი ღვაწლი დასდო ამჟამად საყოველთაოდ ცნობილი ახალი ათონის მღვიმური სისტემის გამოკვლევისა და ათვისების საქმეს. მეტად მნიშვნელოვანია ომარ ერქომაიშვილის წვლილი ქართული გლაციოლოგიის განვითარებაშიც, დიდხანს მოთავეობდა სამეცნიერო ექსპედიციებს კავკასიონის მყინვარებზე.

ომარ ერქომაიშვილი ავტორია საინტერესო ნაშრომებისა.

მამაცი მთამსვლელი, ნიჭიერი მკვლევარი, ღირსეული პიროვნება — ასეთი დარჩება ომარ ერქომაიშვილი კოლეგების, მეგობრების, ახლობლების მეხსიერებაში, რომლებსაც იგი უანგაროდ მიაგებდა თავის სიყვარულსა და ერთგულებას.

საქართველოს სსრ მთამსვლელობის ფედერაცია.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

შემდეგი პარტია სარეკორდო იქნება

გუშინ, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის 34-ე პარტია. 21-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში კვლავ უცვლელია 5:1 (+5—1=28) კარპოვის სასარგებლოდ.

შემდეგი პარტია უნდა შედგეს 21 დეკემბერს. 35-ე პარტია სარეკორდო იქნება ჭადრაკში მსოფლიო პირველობების ისტორიაში. აქამდე ყველაზე მეტი პარტია (34) გათამაშდა 1927 წელს ალიოხინ — კაპაბლანკას შეხვედრაში.

კალათბურთი

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

იტალიის „გრანაროლომ" ბოლონიაში დაამარცხა ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონა" 81:72.

ტელ-ავივში ერთობ პრინციპულ ხასიათს ატარებდა ადგილობრივი „მაკაბისა" და მადრიდის „რეალის" შეხვედრა. ესპანელები დამარცხდნენ მხოლოდ 4 ქულით — 97:101.

ინფორმაცია

კალეიდოსკოპი

ყველაზე პოპულარული სპორტსმენი

კანადის სპორტის ინდუსტრიაში პირველ ადგილზეა პროფესიონალური ჰოკეი. განსაკუთრებით პოპულარული სპორტსმენების ფოტოსურათები ყოველდღე იბეჭდება გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. მათ ნახავთ დიდი მაღაზიების ვიტრინებში, სხვადასხვა სარეკლამო პროსპექტებში. მათზე იწერება წიგნები, იღებენ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ერთი სიტყვით, პროფესიონალი ჰოკეისტი ყველაზე დაფასებული სპორტსმენია კანადაში.

ამას წინათ კვებეკში ჩატარდა სპორტის მოყვარულთა გამოკითხვა. რეფერენდუმის მონაწილეებს უნდა დაესახელებინათ ქვეყნის პოპულარული სპორტსმენი. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (5000 ხმა) პირველი ადგილი მიეკუთვნა პროფესიონალ ჰოკეისტ უეინ გრეცკის.

მაგატი... ჭადრაკის კომენტატორი

ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი, „ჰამბურგერ შპორტფერაინისა" და ეროვნული ნაკრების მოთამაშე, 31 წლის ფელიქს მაგატი ჭადრაკის დიდი ტრფიალია. იგი იმდენად არის დაუფლებული ამ ბრძნულ თამაშს, რომ სპეციალისტთა შორისაც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ამის დასტურია ისიც, რომ დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის ჭადრაკის მიმომხილველმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ჰელმუტ პფლეგერმა, რომელიც კომენტარს უკეთებს ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩს მსოფლიო პირველობაზე, მაგატი სტუდიაში მიიწვია და ერთ-ერთი პარტიის კომენტირება სთხოვა. გადაცემის ბოლოს ფეხბურთელმა მოჭადრაკის რამდენიმე შეკითხვას უპასუხა. მაგატმა თქვა: „ფეხბურთსა და ჭადრაკს ბევრი რამ აქვთ საერთო. სპორტის ორივე სახეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუა მინდვრის (ან დაფის) დაპყრობას, ორივეგან დიდ როლს ასრულებს დროისა და სივრცის ფაქტორი".

А ЗВАНИЕ ЧЕМПИОН
ПО ШАХМАТАМ
ПОВ—Г.КА

სურათზე: ფელიქს მაგატი (მარცხნივ) და ჰელმუტ პფლეგერი კომენტარს უკეთებენ კარპოვ-კასპაროვის მატჩის ერთ-ერთ მორიგ პარტიას.

თოვლი ჯერ არ მოსულა

ავსტრიის ქალაქ ზეეფელდში ძირითადად მომთავრდა მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი. მაგრამ თოვლი აქ ჯერ არ მოსულა. ეს ამბავი სერიოზულად აფიქრებს ორგანიზატორებს, სხვათა შორის თოვლი არც დასავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში მოსულა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბიუჯეტი 115 მილიონ შილინგს შეადგენს.

ვინ იყო ჰაიდენი?

1980 წლამდე მსოფლიოს საციგურაო სპორტში ბადალი არ ჰყავდა ამერიკელ ერიკ ჰაიდენს. იგი ადვილად იგებდა ყველა რანგის შეჯიბრებას და სტაბილურად აჩვენებდა მაღალი კლასის შედეგებს. მაგრამ ჰაიდენი მორალურად მტკიცე პიროვნება არ გამოდგა. მან თავისი სახელი მიჰყიდა ერთ-ერთ სავაჭრო-სარეკლამო ფირმას და მისი დაქირავებული „ვარსკვლავი" გახდა.

მას შემდეგ საციგურაო სპორტში ახალი ვარსკვლავები მოვიდნენ.

ყველაზე პოპულარული შეჯიბრებები

აშშ-ის ტელე-რადიოკორპორაციამ ენ-ბი-სიმ მოაწყო გამოკითხვა ევროპისა და ამერიკის 28 ქვეყნის ტელემაყურებელთა შორის. „რომელი სპორტული შეჯიბრებები გაინტერესებთ ყველაზე მეტად?" — ასეთი იყო ენ-ბი-სის მიერ დასმული შეკითხვა.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე პოპულარულია ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი, მეორე ადგილზეა ოლიმპიური თამაშები, მესამეზე — უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

დღეს, 12 საათზე მძლეოსნობის სასახლის სააქტო დარბაზში (ა. წერეთლის გამზ. № 95-ა) ჩატარდება ნსს „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს მორიგი IV **პლენუმი.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-62.
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15123